დამტკიცებულია: სსიპ- სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილებით N54
23.12.2020 წ. ოქმი N8

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების პროცედურებს.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების და სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს მოთხოვნას მასალების/ნედლეულის შესყიდვების მიზნით, მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 თვისა. მასალა/ნედლეულის ჩამონათვალი შეთანხმებული უნდა იყოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროს სპეციალისტთან სასწავლო პროცესების მართვისა და უწყვეტი განათლების მიმართულებით და დეპარტამენტის უფროსთან.

3. სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი მასალებისა და ნედლეულის შეძენისას უნივერსიტეტის ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამსახური მოქმედებს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონით ,,პროფესიული განათლების შესახებ“, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით და უნივერსიტეტის წესდებით.

4. ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამსახური კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გაითვალისწინება მასალების/ნედლეულის ვარგისიანობის ვადა, (რომელიც მითითებული იქნება პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის მასალების/ნედლეულის შეძენის მოთხოვნაში) მათი გამოყენების მომენტისათვის.

5. სასწავლო მიზნებისათვის მასალებისა და ნედლეულის გაცემას ახორციელებს უნივერსიტეტის საწყობის გამგე მიღება ჩაბარების აქტით. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით.

5[1]. თუ პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე, მასალების და ნედლეულის შეძენა/გაცემა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმის/ხელშეკრულების შესაბამისად.

6. პროგრამის ხელმძღვანელი არა უგვიანეს პროგრამის დასრულებამდე უნივერსიტეტის

შესაბამის სამსახურს ჩამოწერის მიზნით, წარუდგენს პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის/მოდულის განხორციელებისას გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშს.

შეტანილი ცვლილებები:
აკადემიური საბჭოს დადგენილება #502815 (29/04/2026), ოქმი #4;